მწვანე ალტერნატივა

მისამართი: 0179, თბილისი, ფალიაშვილის ქ. 27/29, მე-2 სართული
ტელეფონი: (+995 32) 22 38 74 / 29 27 73
ფაქსი: (+995 32) 22 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@greenalt.org

04/09/01-109
9 სექტემბერი, 2013

საქართველოს მთავრობას

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი:
ასოციაცია მწვანე ალტერნატივას
აღმასრულებელი დირექტორი
ნინო გუჯარაიძე

ა დ მ ი ნ ი ს ტ რ ა ც ი უ ლ ი ს ა ჩ ი ვ ა რ ი

გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი:
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს № 03/130 ბრძანება.

ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა:
ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს № 03/130 ბრძანება.

გარემოებანი, რომელსაც ეფუძნება საჩივრის მოთხოვნა:
ფაქტობრივი გარემოებანი:
1. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს №03/130 ბრძანებით სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს დაევალა საყდრისი-ყაჩარიანის არქეოლოგიურ ზონაში მდებარე არქეოლოგიური ობიექტის შესწავლის პროცესის მონიტორინგის განხორციელება და ამ მიზნით წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში სათანადო კომისიის შექმნა და ამ კომისიის ხელმძღვანელის შერჩევა კომპანია RMG-ის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურებისაგან. ამავე ბრძანებით სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს და კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს დაევალათ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების დაუყოვნებლივ განხორციელება საყდრისი-ყაჩარიანის არქეოლოგიური ზონის 2013 წლის პირველ ოქტომბერს გაუქმების მიზნით. ამ ბრძანებით კომპანია RMG-ის მიეცა თანხმობა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში აწარმოოს ისეთი სახის საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, რომლებიც არ დააზიანებს ან არ შეუქმნის დაზიანების საფრთხეს ზონაში მდებარე არქეოლოგიურ ობიექტს.

მტკიცებულება
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს №03/130 ბრძანება.

2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 601 და 62-ე მუხლებისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 მაისის №03/82 ბრძანებით შექმნილი ბოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა საყდრისის უძველესი სამთამადნო მრეწველობის ძეგლთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის დასკვნის საფუძველზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების დანართში უკანონოდ ასახული „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს" დანართიდან ამოღების მიზნით:

1. ბათილად იქნა ცნობილი „საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ" მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 27.04.2006 წ., №9; ნაწ. IV; გვ.49) დანართის რიგითი №2042 (საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო, ბოლნისის მუნიციპალიტეტი).

2. ამ ბრძანების შესრულების უზრუნველსაყოფად, დაევალა სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (ბ. მაცაბერიძე) და სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს (თ. ჩიხრაძე) უზრუნველყონ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის წარსადგენი, საქართველოს პრეზიდენტის 2006 წლის 7 ნოემბრის №665 ბრძანებულებაში ცვლილებისათვის საჭირო, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება 3 დღის ვადაში.

3. სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს (ბ. მაცაბერიძე) დაევალა საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში არსებული, კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

4. სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს (თ. ჩიხრაძე) დაევალა სათანადო სამუზეუმო სივრცის შესაქმნელად და ამ სივრცეში საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში მოპოვებული კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლების გადასატანად კომპანია RMG-სა და სამინისტროს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის მომზადება.

5. საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ობიექტის შესწავლა განხორციელდეს 2013 წლის 15 სექტემბრამდე.

მტკიცებულება

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანება.

3. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებით „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო" შეტანილ იქნა უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში და მიენიჭა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი.

მტკიცებულება

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანება.

4. ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ და ფიზიკურმა პირმა ირინა ღამბაშიძემ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქართველოს მთავრობაში წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც საქართველოს მთავრობის კანცელარიაში რეგისტრირებულია 2013 წლის 05 აგვისტოს, ხოლო ამავე წლის 13 აგვისტოს დასკვნის წარმოდგენისათვის გადაეგზავნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

მტკიცებულება

მწვანე ალტერნატივასა და ფიზიკური პირის ირინა ღამბაშიძეს მიერ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით 2013 წლის 05 აგვისტოს წარმოდეგნილი ადმინისტრაციული საჩივარი;
საქართველოს მთავრობის კანცელარიის 2013 წლის 23 აგვისტოს №27617 წერილი.

საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები:

1. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 16 ივლისის №197 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დებულების 1.1 მუხლის თანახმად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო არის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი სამთავრობო დაწესებულება, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შეიმუშავებს ქვეყნის პოლიტიკას კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებში და კოორდინაციას უწევს მის განხორციელებას. ამავე დებულების 1.2 მუხლის თანახმად სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად. დებულების 1.4 მუხლის მიხედვით სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

მაშასადამე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ზემდგომ ორგანოს სზაკ-ის 178-ე მუხლის მიხედვით წარმოადგენს საქართველოს მთავრობა, შესაბამისად ადმინისტრაციული საჩივარი წარმოდგენილია უფლებამოსილ ორგანოში, რომელიც არის საქართველოს მთავრობა;

2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს სზაკ-ის 1.2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტისა და მასზე ვრცელდება ამ კოდექსის დებულებანი;

3. სზაკ-ის 5.1 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უფლება არ აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება;

მიგვაჩნია, რომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს №03/130 ბრძანება გამოცემულია მოქმედი კანონმდებლობის უხეში დარღვევით, რის გამოც სზაკ-ის მე-601 მუხლის თანახმად ბათილად უნდა იქნეს ცნობილი შემდეგ გარემოებათა გამო:

4. გასაჩივრებული აქტი - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს №03/130 ბრძანება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს თანახმად სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა, ვინაიდან აღნიშნული აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და აწესებს, ადასტურებს კონკრეტული პირების უფლებებსა და ვალდებულებებს. კერძოდ:
ა) ბრძანებით დაწესდა სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ვალდებულება განახორციელოს საყდრისი-ყაჩარიანის არქეოლოგიურ ზონაში მდებარე არქეოლოგიური ობიექტის შესწავლის პროცესის მონიტორინგი და ამ მიზნით წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში შექმნას სათანადო კომისია, რომლის ხელმძღვანელი შეირჩევა კომპანია RMG-ის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურებისაგან.
ბ) ბრძანებით დაწესდა სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტის და კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტის ვალდებულება დაუყოვნებლივ განახორციელონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ზონის 2013 წლის პირველ ოქტომბერს გაუქმების მიზნით.
გ) ბრძანებით დადასტურდა კომპანია RMG-ის მიერ საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში ისეთი საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების წარმოების უფლება, რომლებიც არ დააზიანებს, ან არ შეუქმნის დაზიანების საფრთხეს ზონაში მდებარე არქეოლოგიურ ობიექტს.

5. „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ 1999 წლის 25 ივნისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტის (2006 წლის 30 მარტს მოქმედი კანონი) თანახმად კულტურის უძრავი ძეგლი არის მატერიალური კულტურის ძეგლი ან მისი ნაწილი, რომელიც ისტორიულად, ფუნქციურად და კომპოზიციურად შერწყმულია გარემოსთან და რომლის გადაადგილება შეუძლებელია ან დაკავშირებულია რთულ საინჟინრო ღონისძიებებთან და გაუმართლებელია მეცნიერული, ეთიკური და სხვა თვალსაზრისით;

6. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანება, რომლითაც „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო” შეტანილ იქნა უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში და მიენიჭა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსი, წარმოადგენს აღმჭურველ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ვინაიდან აღნიშნული აქტით განხორციელდა საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროს აღჭურვა კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსით;

7. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანებით განხორციელდა „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღაროსათვის“ კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მოხსნა, აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრებოდა ვალდებულება აღნიშნული უფლებამოსილება განეხორციელებინა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

8. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის თანახმად ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპია მისთვის იმ თვისებებისა და მახასიათებლების, უძრავი ძეგლის შემთხვევაში – ასევე იმ გარემოს შენარჩუნება, რომლებიც (რომელიც) განაპირობებს მის ისტორიულ, კულტურულ, მემორიალურ, ეთნოლოგიურ, მხატვრულ, ესთეტიკურ, მეცნიერულ ან სხვა ღირებულებას. გასაჩივრებული აქტით უხეშად დაირღვა ზემოაღნიშნული ნორმის მოთხოვნები, რის გამოც ცალსახად განადგურდება „საყდრისი-ყაჩაღიანის უძველესი ოქროს მაღარო“, რომელიც უნიკალური ისტორიული და კულტურული ღირებულებისაა, რაც დაკავშირებული მის სიძველესთან.

9. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 184.1 მუხლის თანახმად თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, გასაჩივრებული აქტის მოქმედება შეჩერდება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან. ამის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

იმის გათვალისწინებით, რომ ასოციაცია მწვანე ალტერნატივამ და ფიზიკურმა პირმა ირინა ღამბაშიძემ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქართველოს მთავრობაში წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც საქართველოს მთავრობის კანცელარიაში რეგისტრირებულია და კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი 2013 წლის 05 აგვისტოდან თანახმად სზაკ-ის 184.1 მუხლისა შეჩერდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების მოქმედება (სუსპენზიური ეფექტი), შესაბამისად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის №03/108 ბრძანების შესრულების მიზნით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული საქმიანობა ნებისმიერი სამართლებრივი ფორმით კანონსაწინააღმდეგოა და დაუშვებელია. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ გასაჩივრებული ბრძანებით შინაარსობრივად ურთიერთსაწინააღმდეგო ვალდებულებებია დადგენილი. კერძოდ: ამ ბრძანებით სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტს და კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს დაევალათ დაუყოვნებლივ განახორციელონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიური ზონის 2013 წლის პირველ ოქტომბერს გაუქმების მიზნით, ხოლო ამავე დროს კომპანია RMG-ის მიეცა თანხმობა აწარმოოს საყდრისი-ყაჩაღიანის არქეოლოგიურ ზონაში ისეთი საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, რომლებიც არ დააზიანებს, ან არ შეუქმნის დაზიანების საფრთხეს ზონაში მდებარე არქეოლოგიურ ობიექტს. აქედან გამომდინარე, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს №03/130 ბრძანება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი თანახმად სზაკ-ის მე-60 1.1 მუხლისა.

10. წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივარი აკმაყოფილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, დაცულია ამ კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის კანონით გათვალისწინებული 30 დღიანი ვადა, (გასაჩივრებული ბრძანება გამოცემულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიერ 2013 წლის

8 აგვისტოს № 03/130 ბრძანება), არ არსებობს ამავე კოდექსის 182-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლები, რის გამოც, გთხოვთ:

1. წარმოებაში მიიღოთ წინამდებარე ადმინისტრაციული საჩივარი.
2. ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოთ ზეპირი მოსმენით საჩივრის შემომტანი პირების აუცილებელი მონაწილეობით.
3. ბათილად ცნოთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს № 03/130 ბრძანება.
4. ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან შეჩერდეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 8 აგვისტოს № 03/130 ბრძანების მოქმედება.

საჩივარზე დართული დოკუმენტების ნუსხა:

1. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 08 აგვისტოს №03/130 ბრძანება.
2. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2013 წლის 5 ივლისის № 03/108 ბრძანება.
3. ასოციაცია მწვანე ალტერნატივას ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირების რეესტრიდან;
4. რწმუნებულება

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.
პატივისცემით,

_____

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი